შპს სოხუმი 2004 -ის მესაკუთრეთა

კრების ოქმი N 3

ქ. თბილისი 2013 წლის 25 ნოემბერი

კრებას ესწრებოდნენ: გიორგი გვასალია შპს სოხუმი 2004 -ის 50% წილის მფლობელი მარლენ გიორგაძე - შპს სოხუმი 2004 -ის 50% წილის მფლობელის ნელი სულამანიძის ნდობით აღჭურვილი პირი (მინდობილობა თან ერთვის).

კრების დღის წესრიგი: მოქალაქე აპოლონ გვასალიას (პ/ნ 62001031437)საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი 01.10.10.020.002 და საკადასტრო კოდი 01.10.10.020.004), რომლებიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი გოძიაშვილის ქ 21 ში, განვადებით შეძენის შესახებ. (ინფორმაცია გ. გვასალია)

მოისმინეს: გ. გვასალიას ინფორმაცია ნაკვეთების შეძენისა და მათი შეძენის პირობების შესახებ.

დაადგინეს: შეძენილ იქნას მოქალაქე აპოლონ გვასალიას (პ/ნ 62001031437) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები განვადებით, რომლებიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი გოძიაშვილის ქ 21 ში. (საკადასტრო კოდი 01.10.10.020.002 და საკადასტრო კოდი 01.10.10.020.004),

დაევალოს გიორგი გვასალიას კრების დადგენილების შესრულება დაჩქარებული წესებით ერთი კვირის ვადაში.

გიორგი გვასალია მარლენ გიორგაძე

ქ. თბილისი 2013 წლის 25 ნოემბერი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131264678
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.12.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; +995 (32) 2479191 ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47099428380313

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ცამეტი წლის სამ დეკემბერს მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: *ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია,* მომმართეს მოქ. გიორგი გვასალიამ და მარლენ გიორგაძემ. მათ წარმომიდგინეს *შპს „სოხუმი 2004''-ის მესაკუთრეთა 2013 წლის 25 ნოემბრის კრების ოქმი №3 (ხუთი ეგზემპლარი)* და განაცხადეს, რომ სურთ მასზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი გვასალიამ (დაბ. 24.03.1951 წ. სოხუმში, პ/№62001012548 რეგისტრ. მისამართზე: სოხუმი, ს. ჭანბას ქ. №160, დროებით მცხოვრები მის.: თბილისი, ერწოს ქ. № 3, ბინა 3) და მარლენ გიორგაძემ (დაბ. 22.06.1953 წ, თერჯოლაში, პ/№01017001705, რეგისტრ. მისამართზე: თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №4) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მათ განვუმარტე, რომ აღნიშნული ოქმის შინაარსზე, მასში მოყვანილ ფაქტებზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ანჟელა მანია, არ ვიღებ პასუხისმგებლობას და ვამოწმებ მხოლოდ ხელმოწერების ნამდვილობას მასზე. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე ოქმზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ განაცხადეს, რომ ოქმი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 4 (ოთხი) ლარი – მუხლი 31, დღგ 0.72 ლარი (ერთი ეგზემპლარისთვის) - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"

ნოტარიუსი *ანჟელა მანია*



გადახდის განვადებით
უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეები

ქ. თბილისი

25 ნოემბერი 2013 წ.

ერთის მხრივ *აპოლონ გვასალია* (დაბ. 21.01.1977 წ. სოხუმში. პ/№62001031437), რომელიც ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „გამყიდველი მესაკუთრე", მეორეს მხრივ შპს სოხუ **2004** (იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გოძიაშვილის №21,ელექტრონული ფოსტა: nellysul@yahoo.com, საიდენტიფიკაციო კოდი: 2492717 *წარმომადგენელი –დირექტორი გიორგი გვასალია* (დაბ. 24.03.1951წ. სოხუმში. პ/№62001012 რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მყიდველი", საქართველოს სამოქალ კოდექსის ნორმების შესაბამისად შევთანხმდით და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე: გადახდის განვად „გამყიდველმა" მიჰყიდა უძრავი ქონება, ხოლო მყიდველმა იყიდა, რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგო **„ნასყიდობის საგანი".**

1.ნასყიდობის საგანი

ნასყიდობის საგანია გამყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება /საკადასტრო კოდი № 01.10.10.020.002, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი, N21, შემდეგში მოხსენიებულია, როგორც **„ნასყიდობის საგანი"**

I-საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერით. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.10.10.020.002, განაცხად რეგისტრაციის №882013523739 - 28/10/2013 15:46:04, მომზადების თარიღი: 31/10/2013 12:43:47, ნასყიდობი საგნის მახასიათებლებია:

საკუთრების განყოფილება

ზონა თბილისი	*სექტორი საბურთალო*	*კვარტალი*	*ნაკვეთი*
01	*10*	*10*	*020/002*

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი, N21
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:3265.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 20;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1(მშენებარე)

მესაკუთრეების განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012007003869, თარიღი 15/01/2007
უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
ჩუქების ხელშეკრულება N1-6611 , დამოწმების თარიღი:29/12/2006, ნოტარიუსი ქ. გრიგოლია
მესაკუთრეები:
აპოლონ გვასალია ,P/N: 62001031437

მესაკუთრე: *აღწერა:*
აპოლონ გვასალია
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882009349734, თარიღი 29/10/2009, 17:06:43
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/10/2009
იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "პროკრედიტ ბანკი";
მესაკუთრე: აპოლონ გვასალია P/N: 62001031437;
საგანი: მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით: 3265.00 კვ.მ. და მასზე არსებული მშენებარე ნაგებობა.;
იპოთეკის ხელშეკრულება N3-26324 , დამოწმების თარიღი29/10/2009, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,

შეზღუდული სარგებლობა
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011244350, თარიღი 24/05/2011 16:45:50
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/05/2011
მოალნაგე: შპს "სოხუმი-2004" 249271746;

საკუთრე: აპოლონ გვასალია P/N: 62001031437;
განი:მიწის ნაკვეთის ფართობი:3265.00 კვ.მ.;
ადა:59 წელი;
ალნაგობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110454937, დამოწმების თარიღი05/05/2011, ნოტარიუსი ა. მანია
ვალდებულება
ადალა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის
მოვალეთა რეესტრი:
რეგისტრირებული არ არის
II- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერით. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.10.10.020.004 განაცხადის რეგისტრაციის №882011244404 - 24/05/2011 16:53:17, მომზადების თარიღი: 30/05/2011 12:03:53, ნასყიდობის საგნის მახასიათებლებია:

საკუთრების განყოფილება

ზონა სექტორი კვარტალი ნაკვეთი
თბილისი საბურთალო
01 10 10 020/004
მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 21 ,
(ნაკვეთი N20/4)
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:460.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:20;

მესაკუთრეების განყოფილება

მესაკუთრის განყოფილება
განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012007003877 , თარიღი 15/01/2007
უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
ჩუქების ხელშეკრულება N1-6612 , დამოწმების თარიღი:29/12/2006 ,ნოტარიუსი ქ. გრიგოლია
მესაკუთრეები:
აპოლონ გვასალია (დაბ.21/01/1977) ,P/N: 62001031437, მცხ.:ქ. სოხუმი, კიროვის ქ. N12
მესაკუთრე: აღწერა:

რეგისტრაცია ნომერი 882009349722 თარიღი 29/10/2009 17:04:45
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/10/2009
იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "პროკრედიტ ბანკი";
მესაკუთრე: აპოლონ გვასალია P/N: 62001031437;
საგანი: მიწის დაზუსტებული ფართობი:460.00 კვ.მ. ;
იპოთეკის ხელშეკრულება N3-26324/1, დამოწმების თარიღი29/10/2009, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საგადასახადო გირავნობა:
რეგისტრირებული არ არის
შეზღუდული სარგებლობა
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. http://public.reestri.gov.ge გვერდი: 1(2)
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011244404, თარიღი 24/05/2011 16:53:17, უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/05/2011
მოალნაგე: შპს "სოხუმი-2004" 249271746;
მესაკუთრე: აპოლონ გვასალია P/N: 62001031437;
საგანი:მიწის დაზუსტებული ფართობი:460.00 კვ.მ.;
არსებობის ვადით;
ალნაგობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110454937, დამოწმების თარიღი05/05/2011, ნოტარიუსი ა. მანია
ვალდებულება
ყადალა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის
მოვალეთა რეესტრი:
რეგისტრირებული არ არი

2. ნასყიდობის ძირითადი პირობები

2.1. მხარეთა განცხადებით, **ნასყიდობის საგანის** ღირებულება არის 2017000.00 (ორიმილიონ ჩვიდმეტი ათასი) აშშ დოლარი, თანახმად დამოუკიდებელი აუდიტორი "გლობალ აუდიტის" აუდიტორის საექსპერტო დასკვნისა (07.03.2011წ).

2. მყიდველი ზემოთ მითითებულ მიწის ნაკვეთებზე აშენებს სამ საცხოვრებელ კორპუსს, არსებული პროექტის შესაბამისად.

2.3. მყიდველი ვალდებულია **გამყიდველს** ნასყიდობის ფასი გადაუხადოს სამ ეტაპად, 6 (ექვსი)წლის განმავლობაში, შემდეგი სახით:

2.4. I- ეტაპი, პირველი კორპუსის აშენებისა და რეალიზაციის შემდეგ, მთლიანი თანხის 1/3 ნაწილი.
II- ეტაპი, მეორე კორპუსის აშენებისა და რეალიზაციის შემდეგ, დარჩენილი თანხის 1/2 ნაწილი.
III- ეტაპი, მესამე კორპუსის აშენებისა და რეალიზაციის შემდეგ, დარჩენილ თანხა.

2.5. ვინაიდან, მყიდველმა ნასყიდობის საგანზე საცხოვრებელი კორპუსები უნდა ააშენოს და შემდეგ გაყიდოს, მხარეები შეთანხმდნენ, ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე ნასყიდობის საგნის მყიდველი შესაკუთრედ აღირიცხება საჯარო რეესტრში შეზღუდვების გარეშე, ამასთანავე, ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე მყიდველს უფლება აქვს ნასყიდობის საგნი გაყიდოს და იპოთეკით დატვირთოს.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვერ შეძლებს ნასყიდობის ფასის სრულად გადახდას, მხარეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით გააგრძელონ ნასყიდობის ფასის გადახდის ვადა წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით.

2.7. ორმხრივი რესტიტუციით ვალდებულების შეუსრულებლობისას, გამყიდველი იტოვებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. უარის თქმისას ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

2.8. ნასყიდობის საგანი არის დატვირთული იპოთეკით, იგი არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტით:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერით. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.10.020.002. განაცხადის რეგისტრაციის №882013523739 - 28/10/2013 15:46:04, მომზადების თარიღი: 31/10/2013 12:43:47 და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერით. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.10.10.020.004 განაცხადის რეგისტრაციის №882011244404 - 24/05/2011 16:53:17, მომზადების თარიღი: 30/05/2011 12:03:53.

გამყიდველის განცხადებით, ნასყიდობის საგანი არ არის სადავო, მხარეებმა განაცხადეს, რომ ნასყიდობის საგანი იპოთეკით არის დატვირთული. ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, მყიდველმა მოიწონა ნასყიდობის საგნის ხარისხი.

3. მხარეთა შორის დავის გადაწყვეტა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მოუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

4. ფორსმაჟორული გარემოებები

4.1. მხარეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეული ვალდებულებათა შეუსრულებლობა (არაჯეროვანი შესრულება).

4.2. ფორსმაჟორულ გარემოებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, მეტეოროლოგიური პირობები, ხანძარი, მასობრივი არეულობა, რომელიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას, ან აბრკოლებს მყიდველის ვალდებულებათა შესრულებას.

4.3. თუ ფორსმაჟორულ გარემოებებს აქვთ დროებითი ხასიათი, მასზე მითითება დაიშვება მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ისინი გავლენას ახდენენ მხარეთა ვალდებულებების შესრულებაზე.

4.4. თითოეული მხარე ვალდებულია ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

4.5. მხარეებს უფლება აქვთ, ფორსმაჟორული გარემოებების გამო ურთიერთშეთანხმებით გადასინჯონ ამ ხელშეკრულების პირობები.

ეს ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად

მყიდველი _____

გამყიდველი _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131235247
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.11.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; +995 (32) 2479191 ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	68177330081013

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას ცამეტი წლის ოცდახუთ ნოემბერს მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემ სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, მომმართეს მოქ. *აპოლონ გვასალიამ და გიორგი გვასალიამ* მა წარმომიდგინეს **2013 წლის 25 ნოემბრის** გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის **ხელშეკრულება** - სამი ეგზემპლარი და განაცხადეს, რომ სურთ ამ ხელშეკრულებაზე შესრულებული ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათ პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად

აპოლონ გვასალიამ (დაბ. 21.01.1977 წ. პ/№ 62001031437, პირადი განცხ. მცხ. მისამართზე: ქ. თბილისი, ერწოს ქ. № 3, ბინა 3) და გიორგი გვასალიამ (დაბადებული 24.03.1951წ, სოხუმში, პირადი № 62001012548, მცხოვრებ მისამართზე: ქ. თბილისი, ერწოს ქ. № 3, ბინა 3) მომმართეს.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. მე ნოტარიუსმა ანჟელა მანიამ, განვუმარტე რომ პასუხს არ ვაგებ *ხელშეკრულების* შინაარსზე და მის სამართლებლივ შედეგებზე. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე **ხელშეკრულებაზე.**

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების გადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა –4 (ოთხი) ლარი: დღგ 0.72 ლარი (ერთი ეგზემპლარისთვის)- თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისთვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა.

ნოტარიუსი ანჟელა მანია



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131264784
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.12.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; +995 (32) 2479191 ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	53019233584913

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ცამეტი წლის სამ დეკემბერს მე, ანჟელა მანია, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია (“ავერსის” კლინიკის გვერდით) ვადასტურებ მოცემული ფოტოასლის შესაბამისობას მის დედანთან.
გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” 31-ე მუხლისა 2.50 ლარი; დღგ 0.45 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი /ანჟელა მანია/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18